სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

04/06/2026

MES 7 26 0000671000

**„სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აუდიო და ვიდეომონიტორინგის განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“ სტუ-ს რექტორის 2025 წლის 21 მარტის MES 8 25 0000314422 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 57-ე და 63-ე მუხლების შესაბამისად,

**ვბრძანებ:**

1. „სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აუდიო და ვიდეომონიტორინგის განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“ სტუ-ს რექტორის 2025 წლის 21 მარტის MES 8 25 0000314422 ბრძანების მე-2 პუნქტით დამტკიცებულ ვიდეომონიტორინგის განხორციელების წესში (დანართი 2) შეტანილი იქნეს ცვლილებები და წესის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. სადისერტაციო/სამაგისტრო ნაშრომების და კოლოქვიუმის დაცვების ჩანაწერები ინახება საარქივო კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით დამტკიცებული საქმისწარმოების ერთიანი წესისა და საქმეთა ნაერთი ნომენკლატურით განსაზღვრული ვადით, ხოლო უნივერსიტეტის სხვა ადგილებში განხორციელებული ვიდეომონიტორინგის ჩანაწერები - 30 დღის განმავლობაში.“.

2. ბრძანება გამოცხადდეს საჯაროდ და გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისთვის უზრუნველყოს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახურმა.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი
ვიცე-რექტორი
თამარ წერეთელი